# ხელშეკრულება №38
## სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

*ქ. ხაშური* *29 ოქტომბერი 2012 წელი*

ერთის ერთის მხრივ, სსიპ ქინძათის სკოლა (შემდგომში – დამკვეთი), დირექტორის ზეიად გაგნიძის სახით და მეორეს მხრივ, ფიზიკური პირი თამაზ ნოზაძე, დაბადებული 07.11.1960წ. (შემდგომში – შემსრულებელი) რომლის პირადი ნომერია№57001030965 მცხოვრები ხაშურის რაიონი სოფ. ახალუბანში, პირადობის მოწმობა გაცემულია ხაშურის მრ და სარ სამსახურის მიერ 10.06.2005წ, ეხელმძღვანელობით რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### *1. ხელშეკრულების საგანი*

1.1 ხელშეკრულების საგანია, სსიპ ქინძათის სასკოლო მიკრო ავტობუსის ნაწილების შეცვლა კერძოდ: კარდნის შეცვლა-15ლ; თათის შეცვლა- 70ლ; სავარძლის შეღებვა-5ლ; აკუმულატორის კლემის შეცვლა, მუხრუჭის ტუმბა-28; კრესტავინის შეცვლა 15ლ.

### *2. ხელშეკრულების ღირებულება*

2.1. ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება: *166.25 ლარი. (ასსამოცდაექვსი).*
2.2 ხელზე მისაღები თანხაა 133 ლარი. (ასოცდაცამეტი ).

### *3. ანგარიშსწორების ფორმა*

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.
3.2. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, მომსახურების გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

### *4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი*

4.1 დამკვეთს უფლება აქვს:
– შემსრულებლისაგან მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობის დაცვა.
4.2. დამკვეთი ვალდებულია:
– მოახდინოს ანგარიშსწორება შემსრულებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
4.3. შემსრულებელს უფლება აქვს:
– მოითხოვოს შემსყიდველს მომსახურეობის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
4.4. შემსრულებელი ვალდებულია:
– კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

### *5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას*

5.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
5.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა).
5.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
5.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

5.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

### *6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა*

6.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელისმოწერისთანავე და ძალაშია 2012 წლის 14 დეკემბრამდე.

### *7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა*

7.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების  მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები დამკვეთი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### *8. ფორს-მაჟორი*

8.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
8.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
8.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

### *9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი*

9.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
9.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

### *10. ინსპექტირების პირობები*

10.1. დამკვეთი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
10.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
10.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### *11. სხვა პირობები*

11.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11.2. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
11.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

11.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი „შემსყიდველს", ერთი „მიმწოდებელს"). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
11.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

*12. მხარეთა იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები*

*დამკვეთი:*

სსიპ ქინძათის სკოლა
ხაშურის მუნიციპალიტეტი სოფ. ქინძათი
საიდენტიფიკაციო ნომერი №243881117

სკოლის დირექტორი : ______________ ზვიად გაგნიძე

შემსრულებელი თამაზ ნოზაძე
პირადი №57001030965
მის: ხაშური, ახალუბანი
სს ლიბერთი ბანკის ხაშურის ფილიალი
ბანკის კოდი LBRTGE22
ანგაGE71LB0711186672313000

ხელმოწერა ______________ თამაზ ნოზაძე